

572
1991

ISSN 0132-5065
002-011000



1991 წ. მარტი № 3

საქართველო

საბავშვო

ლია კობალაძე

მზე აღარ თიბობს ცის კაბადონს,
 მოდის სითბოდ, მოდის ლოცვად,
 იმძლავრებს და გაზაფხულის
 დღესასწაულს მოკვილოცავს.
 მოედება ლაქვარდს ცეცხლად,
 შეენთება ღრუბლის ქულებს,
 შემოაფრენს გულში მერცხნაღს,
 აჭიკჭიკებს, აქდურტულებს.
 გადაცემებს ნატიფ ქათიბს,
 გადაბნევს იის ღერებს,
 ოქროს სხივთა ათინათით
 დედამიწას აამღერებს.
 ააწეკვებს ეველა ნინოს,
 აამღერებს ეველა ნატოს,
 მოკვიძრავდნენ, შეგვეძინონ,
 შეგვეტობონ და შეგვემატონ.
 დაგვილოცავს ეველა ფატის,
 ეველა გვანცას, ეველა შერის,
 დღეგრძელობა იუოს მათი,
 მათი მრავალჯამიერო.
 ცისქვეშეთში ვინც კი დადის —
 ლიკას, თეას, მარიკელს,
 სულ მშვიდობის ჰქონდეთ მარტი
 და სიკეთე ეველას, ეველას!..



საქართველო და დედა

ანა რევაზიშვილი

საქართველო და დედა, შენი ლოცვა და რწმენა,
 იყო სახატე წმინდა და შენი აღმაფრენა.
 საქართველო და დედა, შენი სევდა და ლხენა,
 იყო შორეთის ფიქრი და ტკივილების თმენა.
 ვერ გადაგძლია სიშორემ, ვერცა წაგართვა ენა,
 ამიტომ დაგრჩა ლოცვად — საქართველო და ნენა.

სკოლიდან დაღონებული დაბრუნდა დათუნა.

— წერაში ისევ ორიანი მიიღე, დათო? — ჰკითხა პაპამ.

ბიჭმა თავი ჩაქინდრა.

— რა დაგემართა, შვილო? — უხასიათოდ ჩაილაპარაკა პაპამ.

— აბა, ნახე, პაპა, რა ლამაზად ვწერ.

პაპამ რვეულს გადააგლო თვალი.

— ამ საბრალო ასოებმა რაღა დაგიშავეს, შვილო?

— არ შემეძლია, პაპა, — გაბრაზებით უთხრა დათუნამ, — «ჯ», «წ», «ყ», «ჭ» მეჯაგერებთან, ეგვნი რომ არა, მასწავლებელი ხუთს დამიწერდა. ნუთუ არ შეიძლება, რომ ანბანში არ შეიტანონ «ჯ», «ჭ», «წ» და «ყ»?

პაპა გვერდით მიუჯდა შვილიშვილს და ღიმილით უთხრა:

— იცი, ჩემი დათუნა, შოთა რუსთაველმა «ვეფხისტყაოსანში» რომ დაწერა, მაშინ ქართულში 38 ასო იყო, მერე იღია ჭავჭავაძემ და იაკობ გოგებაშვილმა დახვეწეს ქართული ანბანი და დღეს 33 ასოინიშნით ვწერთ. აი როგორ იწერებოდა ახლა გაუქმებული ბგერები ძველად: მ — «პე», ღ — პი, უ — ვი, კ — ხო, შ — «პო». მგონი შენ ფიქრობ, რომ კვლავ მოძველდა ზოგიერთი ასო. იქნებ გადატრიალებდა მოახდინო — უფრო დახვეწო ქართული ანბანი!..

პაპამ თავზე ხელი გადაუსვა დათუნას, სიყვარულით მიუაღერა.

დათუნა მიუხვდა პაპას. დიდხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე კალმისტარით აიღო და წერას შეუდგა. მაგრამ «ჭ»-ს, «ჯ»-ს, «ყ»-ს ან «წ»-ს რომ მიადგებოდა, თითები აუკანკალდებოდა ხოლმე და კალმის წვერით კვლავ ფხაჭნიდა საბრალო ასოებს.

საღამო ხანს შემოღებულ ბებრებთან ჭიდილში დაღლილ-დაქანცული დათო ლოგინში ჩაწვა და მალე ღრმა ძილს მიეცა.

* * *

პაპა ლოგინში იწვა, შფოთავდა. — ავად ხარ? — ახლოს მივიდა დათუნა და შუბლზე ხელი გადაუსვა.

— პო, შვილო. არ შემინდგე, გენაცვალოს პაპა, ალბათ ჩემი აღსასრული მოვიდა.


— ვაიმე, პაპა, იქნებ რამე გინდა, რა მოგიტანო?

— ტყის პირას უკვდავების წყაროა. წაიღე, შვილო, შენს გაზრდას, ნუ დაიზარებ, ერთი ხელადა მომიტანე.

— ეხლავე პაპა, — მკვიტცხლად გაეარდა დათუნა გარეთ, ხელადას ხელი დაავლო და წყაროსაკენ მოკურცხლა.

ის იყო, პაპას დათესილ პურის ყანასთან მიიბრინა, ბილიკი გადასერა და წყაროს ხელადა შეუშვირა, რომ წყარო დაშრა. უკან შემობრუნდა დაღონებული

19. 7.33



საპარტიკულრო
პროცესული
ბიბლიოთეკა



ბიჭი, გაოცდა: მიველი ჯეჯელი ერთმანეთს გადაგრეხოდა და მიწაზე გაწოლილიყო, ირგვლივ კი ჩამდგარიყვნენ ანბანის ყველა ასოინსუნები, ერთმანეთს მიკვროდნენ და დათოსათვის გზა გადავლბათ.

გაიცებული ბიჭი ხან იქით მიავწვდა, ხან აქეთ, მაგრამ გაბადრომი ვერსად ნახა.

— ამით ცდილობ, წყაროსკენ გაგვიძიერე, — დათოსბროსა «ბ»-მ, მეგრე «ტ»-მ დაუტატანა.

დათუნას ცრემლები მოაწვა:

— რა დაგიშვეთ?

— შენ არ გიყვარს ანბანი.

— როგორ არ მიყვარს?!

— აბა, როგორ წერ ჭ-ს, ჯ-ს, ყ-ს, წ-ს? თან ჯთუტად გაიძიხნ, არ მიყვარს ეს ასოებიო.

უფრად დათუნას მხარზე ჭრელი პეპელა დააფრონდა.

— რა დაგიშვე, დათუნა? რათ გეჯავრებ? ფრთები დაგლეჯილი მაქვს შენი კალმის წვერისაგან.

მერე ჯეჯირნის ნუკრი აიბუნა დათუნას წინ:

— შენი კალმისგან დაკაწრული ყურები ესლაც მტკივა. არ გეცოდები?

ახლა წითელმა ფაქრომ გაიშრიალა, რომ საყვედური ეთქვა დათუნასათვის, მაგრამ ამ დროს სხვაასოები ანბაურდნენ:

— ჩვენ ყველა ერთად ქართული ანბანი ვართ. არც ერთი მისინჯი არ უნდა გამოყოფილოს ჩვენში, თორემ ერთიანდ დავმანთჯდებთ. ქართული ანბანი წმინდათაწმინდაა, ვისაც დედაენა უყვარს, იმას ჩვენი ანბანიც უნდა უყვარდეს; ვისაც არა, იმას საქართვე-

ლოც არ ყვეარებთ.

დათო ანბანის ასოების წინ დაემხო და აქეთითნდა: გეუცებით ჩემო ჯეჯირანი, ჩემო ჯეჯელი, ჩემო ჭრელი პეპელა, და შენ, ჩემო უკვდავების წყარო, დანაშაულს გამოვასწორებ. ყველას ერთნაირად გულით შეგიყვარებთ.

— გაუშვით, გაუშვით წყაროსთან, — გაისმა ხმა და დათუნას გზა მისცეს. წინ ჯეჯირანი მიუძლოდა, მაგრამ წყარო დამშრალი დახვდათ.

— ვემუდარები, უკვდავების წყაროვ, ოღონდ გამოწნიდი, ოღონდ ერთი ხელადა წყალი მომეცი და თუ არ დაგამწვერით, მკლავს მივიჭრი.

წყარო აჩრბადა და დათუნამ აკანკალებული ხელით შეუდგა ხელადა.

— დაღვებს თუ არა პაპა, კარგად გახდება, პაპას გაუფრენე, ის საქართველოს სიყვარულში დაბიგდა, შენც იმის კვალს უნდა გააყვე.

ჯეჯირანმა პურის თთავები მიუტანა.

— წაუღე პაპას...

— მომაქვს, მომაქვს პაპა, — ისეთი დიდი ხმით შესძახა დათუნამ, რომ დედა დაფთებული წამოვარდა ლოგინიდან, პაპაც შემინებული შემოვიდა:

— რა მოხდა, რა სიზმარი ნახე, შვილო?

— კარგი, ძალიან კარგი, პაპა, — თქვა დათუნამ და პირის დასაბანად გაიტქვა. ... ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ განბარებულმა პაპამ დათოს რვეული აღმართა:

— ყოჩად დათუნა, აი, თურმე რა ლამიზად შეგძლებია წერა.

გუდევი

ცირა კიტიაშვილი

წვეთი იმსხურევა მძივად,
მუხის ფოთოლი სცრის,
წვეთი ბუდეში ცვივა —
წვიმს,
წვიმს,
წვიმს.

გუძია: შევტირით დედას,
ჯიუტად მოეთხოვთ წილს,
თავის ერთადერთ ლუკმას
ჩვენ გვინაწილებს ის.

რა ზატარა აქვს ფრთები:
თავებს ვაფარებთ ძლივს,
ძიუჭუჭულები ვთბებთ,
წვიმს,
წვიმს,
წვიმს.

ჩუმაღ კვიძლერის ნანახს
და ჩვენც ვეძლევით ძილს.
სიზმრად ვნახულობთ ქოლგებს,
წვიმს,
წვიმს,
წვიმს...




გით

ზორთა სოღაშანილი

გით სკოლიდან ბრუნდება,
სმაურდით მოდის შარაზე.
ეზოებიდან სმა ისმის:
— ჩქარა, ჭიშკარი ჩარაზეთ!
იციან მისი ოინი
ზატარებმაღ და დიდებმაღ.
თხა სეებს მოეფარება,
ჩოჩორი გვერდით მიდგება.
ემაღებიან კატები,
მაღლებიც აუფუღებიან.
მამა რომ აბუსღუნდება,
აჭეუება დედაც, ბებიაც...
თუ რამე ცუდი წამოსცდათ,
ზაზა იღიმის უჩუშრად:
— ასეთი ბაღლი სჯობია
სეღმეტად ბეჩავ-ლუჩუნას!





პროფესორი

რეპაზი ინანიშვილი

საზღვარგარეთ ვიყავით, იტალიაში. ჩვენს დელეგაციაში ერთი პროფესორი იყო, არაქართველი, ჩრდილოელი, 63 წლისა. განიერი იყო, მუცელწამოზრდილი, თავი სულ პროფესორულად ეჭირა. რაც არ უნდა სიცხე ყოფილიყო, პოჯაკს და პალატუსს არ იშორებდა, სულ ვეება პორტფელი დაჰქონდა. ჭინჭებზე სხვები დარბოდნენ, პროფესორი მხოლოდ წიგნებზე ნადირობდა. იყო ასეთი ალბომები, მაღლა გახვრეტილი — ერთხელ, ორჯერ, რაც ნიშანია მათი ჩამოფასებულობისა. იყო მათ შორის ვეროპული უცნობილესი გამოცემები. პროფესორი ხელების კანკალით იძენდა — იქ კაპიკებს იხდიდა, ჩვენთან, ჩვენს წიგნის ბაზარზე, თითო ორმოცდაათ მანეთად გაიყიდებოდა. ხან ისეთი სახვე პორტფელით ბრუნდებოდა, ძლივას მოიხრევდა. მე პატივს ვცემდი, გამოეჩინებოდა პორტფელს, მივატანინებდი სასტუმროში. პროფესორიც კარგი თვალთ მიყურებდა, აღტაცებული იყო ჩვენი რამდენიმე მხატვრით, კიდევ უფრო აღტაცებული — ჩვენი ფოლკლორით, გამორჩევით, — ლეგენდებით, რომელთა დიდი ნაწილი ისევ ელის ჩამწერლებს. ერთმანეთის გვერდით ვსხდებოდით სასადილოში, ჭამდა და სვამდა საოცრად ზომიერად, მუცელი მაინც კარგად ჰქონდა წამოზრდილი. მივმართავდი —

„პროფესორ იულიუს!“ რაღაც სასიამოვნო მილით უნათლებოდა სახე. ის მიხედა ჩვენებური „ბატონოთი“ — „ბატონო რევაზ!“ ვსაუბრობდით ვეზისტენციალიზმზე, სიურრეალიზმზე. პროფესორი ვაკვირვებული იყო, მე რომ რაღაცეები ვიცოდით ამ მიმდინარეობებზე.

ერთხელ, სადილობისას, ცოტა შემავიანდა. პროფესორის გვერდით მაინც აღმოჩნდა ადგილი. ბოდიში მოვიხადე დაგვიანებისათვის. მომტანს ჩემი თქმა არ დასჭირვებია, სწრაფად მომიტანა, რაც მე შეეუფვნოდა. ერთი ეს მკითხა, ღვინო თეთრი იყოს თუ წითელიო. წითელი მოვითხოვე (300 გრამს გვაძლევდნენ სადილად თითოს). პროფესორი დიმილით გადმოხედავდა ხოლმე. რაღაც ბრჭყვიალა ეტიკეტიანს ლიტრიანი ბოთლი ედგა წინ. ჩვენთანაც ბევრი იხმარება ამ ბოთლის მოყვანილობისანი მედვინობაში. სულ ცოტად დაელია, ბევრი-ბევრი 100 გრამი. კიდევ დაისხა ცოტა; მოწრუპა და მედიდურად თქვა, — თქვენი ბორჯოში უხვე ამ წყალთან ვერ მოვაო. მე ჭიქა გაუწოდე; — ცოტა დამისხით, გავსინჯავ-მეთქი. — ეე! — შემოფოთდა პროფესორი, — ამაში ნაღდი ფული მაქვს გადახდილი, ჩვენი ანგარიშით მანეთხედაც კი მეტით. ხელი ისე მოუჭირა ბოთლს, მზად იყო, მიეხუტებინა კიდევ. მე მომტანს მოვუხმე, ფული წინასწარ გადაუხადე და იმ წყლის მოტანა ვთხოვე; პროფესორი რომ სვამდა. წუთი არ დასჭირვებია ამისათვის. მომიტანა, გვახსენებინე, ერთი ჭიქა გავავსე, მეტის დამლვეი არ ვიყავი, არა ვარ დიდი მოყვარული მინერალური წყლებისა. ის ჭიქაც არ დავლიე ბოლომდე. სადილობას მოვჩინე. პროფესორს ბოდიში მოვუხადე, ავდექი, წყლის დახურული ბოთლი მაგიდაზე დავტოვე. პროფესორი შემოფოთდა. — როგორ, აქა სტოველი ამ გენიალურ წყალსაო?! — რა თქმა უნდა-მეთქი, მე მეტის დამლვეი არა ვარ. — მაშინო, — თითქოს დაიმორცხვა, — ამ წყალსაც მე წავიდებ, ასაკოვანი ვარ, გამოიმადებოა. სიამოვნებით-მეთქი. ჩემს ბოთლსაც მაგრად მოჰყვია ხელი და ისიც წავიღო. თავისი ბოთლი მარჯვენა ხელში ეჭირა, ჩემი — მარცხენაში. მოდიოდა განივრად, ყოჩაღად. მე სულ კვივისაკენ მიმქონდა ხელი, მეუხანებოდა, მიჭირდა, როგორღა უნდა შეიქმება.

ის მაინც სულ პროფესორულად დადიოდა, განივრად, ღონივრად, მუდმივი სიამოვნების დიმილით სახეზე...

ტყეში

თინათინ იზარი

ამ ტყეში რამდენი ქსელია...
 ობობა ეველგან ქსელს აბაძს,
 უცბათ რომ ქსელში გავეხვიო,
 სასლში ვინ მიიტანს ამბავს?
 ამ ტყეში რამდენი ზანტაა!
 აქ ვინ არ დაგრეფს ზანტას,
 უცებ რომ სიდან გადმოვვარდე,
 სასლში ვინ მიიტანს ამბავს?

ამ ტყეში ვიცადა ბიჭია,
 ხან ხეს ჭრის, ხან ტოტებს კაფავს...
 უცბათ რომ ხელი წამატანოს,
 სასლში ვინ მიიტანს ამბავს?
 ამ ტყისკენ გული რად მიმიწევს,
 ვერც ვერვინ მიხვდება ამას...
 ოდესმე ნიბლიას გავანდობ,
 თუ არსად მიიტანს ამბავს.


შატავარი ბიორავი როინიშვილი

ბაბა მავარიშვილი

ლაშა და თეო და-ძმაა,
 და უმცროსია მძაყე,
 დას მძის ძალ-ღონე აკვირვებს,
 მძის კი — დის სილაშაყე.
 თეოს რომ უეკარს მძა, ისე
 არაუინ დაიქანდოს,
 საკუთარ წილსაც კი უოფს —
 ტუბილკვერს, გოზინაუს, ქადას.
 თავად სუსტსა და უძწყოს
 მძის ქამავობა უეკარს,
 თვით ბაუბაუდევის წინაშეც
 კი არ დაიხეუს უკან.
 ლაშას რომ თითი შეახოთ,
 ჯიქურად მოგეჭრებათ.
 დის საქციელზე ლაშა
 სიცილით იჭაჭება.

ლაშა და თეო

შატავარი ბასო სილაშელი





პეპრი

ვლადიმერ ასლაგაზიშვილი

მატყარი ელზარ ამგოკაძე

ჩემს ნამბობს რომ გაიგებთ, გაგიკვირდებათ, იტყვიან: როდის იყო, კვერს ენა ამოუდგას და რაზე ეთქვას, ენა მარტო ადამიანებს მოგვმადლა ღმერთმა, რომ ერთმანეთს დაველაპარაკოთ, ვისაც რა გვინდა, ის ვუთხრათ. ის კი ვერ წარმოგიდგენიათ, რომ უსულო საენებსაც შეგვიძლია ხმის ამოღება. ქვეყნის გასაგონად თუ არა, სხვას თავი რომ არ მოვაგებუროთ, ჩვენს დარდას და სატკივარზე ჩივილით, ჩუმიად ვუსუზვართ და ვდარდობთ. ან ენის ამოღება რათ გვიინდა, დაგვხედეთ და თითქოს წიფნში ამოგვიკითხოთ, ისე შეიგრძნობთ, ვინა ვართ ან რანი ვართ, გვიჭირს თუ გვილხინს, რა ცეცხლი და დედგმა გამოგვივლია ცხოვრების მანძილზე.

იქნებ ჩემი ნახვა მოიწადინოთ? ძველი, ფარდალალა სათონის ერთ კუთხეში ვაჯუდივარ. მე მარტო არა ვარ. ბოლთომოსწვარი, ნაცრიანი თონის საწინეკელები, ხის ხმელი, დაბრეცილი ლატუნები და ფიჭვის ვიწრო ძელები ზედ ისე მაქვს მოყრილი, ძლივს ვჩანვარ. ჭია მეც გამიწინდა, ის ტიალი; მჭამს და მხრავს, სხეული მტკიცეა, მეწინეწინება, მარტო მაშინ მიყურდება ტკივილი, როცა გამამდარი და კმაყოფილი ჭია წათელვინი და დაჭურბდება.

ენ, პატრონი მყავდეს, ვინ შეაგმევდა ჭიას ჩემს თავს. მომივლიდა, გამწმენდა და გამასუფთავებდა, არც ამ სათონეში ვგვდებოდი უქმიად. აქ რა მინდა, ჩემი ადგილი სალესად გამზადებული, ძნით სახვე კალთა. ვამეგ, რას მოვესწარი, რა დრო დამიდგა, არც არავის ვახსოვარ, არც არავის ვჭირბუღებ; ნეტავი ის ბერიკაცი მაინც სად წავიდა? გაბო გრევა, რა ხანია, თვალი არ მომიკრავს, ჩემთან ხელების ფათურით რომ მოდიოდ; საბრალოს თვალის წინი აკლდა, შემოვი-

ღოდა სათონეში ჯიხის კაკუნით, მომქმენდა, ზედ მოჭრილ საწინეკელებსა და ლატუნებს აქეთ-იქით გადასწევდა და გამომიანენდა; მიროლვარე, ნაჯავარ ხელს შემხებდა, ამოთხრებდა და მეტყვოდა: კალის სულო და გულო, მუხის კვერთ, დაებრდიოთ, დაენაჩანაკლით, უქმები ვართ, უქმებით. ამას რომ იტყვოდა, ფართოდ გაღებულ, წყალწყალა თვალებზე ტრემლი მოტეოდა, ხმავე აეჭრებოდა, ჩაენჩინწებოდა და აღარაფერს მეტყვოდა, დუმდა, მარტო ხელით მეფერებოდა, იმ ადგილებს მისინჯავდა, სადაც კაჟის ქვის ნამსხვრევები მაქვს ჩაჭვდილი. რამდენიმედა შემომრჩია, სხვები ჭიანაჭამ ტბილებივით ამომცვივდა, ცარიელი ფოსოები მტვრითა და აბლაბუდით გამეფსო. შიგ გაბოს თითები დაფათურობს. წუხს, უნდა მტვერი და აბლაბუდა ამომიჩქნოს, მაგრძნობინოს, ჯერ პატრონი გვაგვ, მოლად არ ხარ წყალწალბებულიო, თითებით კაჟსაც სინჯავს, ამას გამოცვლა უნდა, ამას არაო, და ვატყობ თვალებში რაღაც ნათელი რომ ჩაუდგება. ნაოჭებად ქვეულ, ჟანვისფერ სახეზე ძლივს შესამჩნევი, ბებრული ღმირი შეგპარება, არ მეუბნება, მაგრამ ვიცი, რას ფიქრობს, იმ უჩინო თვალებით რას ხედავს.

... ის მღალღი, ნისლებშემოსხვეული, შიშველი მთა, სათონიდან რომ მოჩანს, დიდი ხნის წინათ ქოჩორა ტყით იყო შემოსილი.

მაშინ გაბო პატარა ბიჭი იყო. ერთ დღეს გაბოს მამამ, პეტრემ, წითელ ხარებს უღული დაადგა, აიღო ცული, თან გაბო გაიყოლა და იმ ტყიან მთაზე ავიდა. მოჭრა ვაჯულაბული, თავისდროშოჭმული მუხა, დამთარა და ხარებით სოფელში წამოთარა, იმ მორიდან საწნახელი და კვერი გამოთალა. მე რომ სატყვით სა-

კაჟე ფოსტებს მჭირდება, გაბო ხვევ-ხვევ კაჟის ქვეებს ემება, ამსხვრევდა და სახლო ეწობილებოდა, კალო-ზე სასარდალო მზარე დანის პირივით ბასრი კაჟის ქვეებით მომიჭედეს, დამდეს ურემზე და კალოზე წამიღეს.

კალოზე ჩაშლილი ძნა მზეს ისე გაეფიცებინა, თონესავით აღმური ასდოდა, თავთავისთვის თითი რომ დაეგო, იფშინებოდა, მარცვლი სევითდა. პეტრემ უღელდადგმული წითელი ხარები კალოში გააყენა, მე მაგარი, ტყავის გრძელი ღვედით უღელს ჩამოხაგეს, პეტრე ზედ შემდგა და შეინდის სახრე მოიმარჯვა.

— მეც მამა, მეც დამხვი კვერზეო, — შეხვეწა გაბო პეტრეს, იმის თანხმობას აღარ დაუცადა, ისკუპა ჩემკენ და მამის ფეხებთან კურდღელივით ჩაცუცქდა.

— ჰამო, ხარებო, გასწით თქვენს ქედს ვენაცვალე! — შეუძახა პეტრემ წითელ ხარებს და სახრე მსუბუქად გადააკრა. გაიწიეს ხარებმა, დიჰშიმა ტყავის ღვედი და გვეგონებოდათ ნიაფიო, ისე გაგვრიალდი კალოზე. აუტყდათ შრილი ოქროსფრად მზონავ თავთავებს, მიცეურავ ზედ და ვგრძნობ, კაჟის ქვეები როგორ აქუცმაცებენ თავთავს და ჭრიან ნამჯახს. იმ თავთავების შრიალხა და ხარების ხენწეშაში გაბოს ვაჟკაცური კალსპირული ისმის:

აღალმე დილის ნიაფიო,
დაუბურე კალოს თავსა,
კალოსაც გაუანიავეს,
დაციუენებ სორბლის სვავსა.

გაბოს პეტრე ეხმანება, ხან მფორეს ეუბნება, ხან ბანით ეხმატკობილება შეილხს. ხარები კი მიდიან, დინჯად უვლიან კალოს, მიდიან და მეც მივსრიალებ.

თავთავი გაიღეწა. ხარებს უღელი მოსხნეს, დასვენეს! ვიდრე კალოს გაანიავენ, მეც ვისვენებ. ბზისა და სორბლის ნარევი ხის ნინებითა და ცოცხით ერთად მოხვეტეს. პეტრემ თავი მადლა ასწია, ოფლიანი სახე მიაბრ-მოაბრუნა, ნიავე საიდან უბერავს. იმ დალოცვილმაც, გვეგონებოდათ ვინმემ დაიბარაო, თავისი უწინარი ფრთებით საიდანღაც კალოზე ჩამოიქროლა და ხის ნინებებით შეტყორცნილი ნალექიდან ბზე და მტვერი თან წაიღო, კალოს პირს დააფინა. ძირს კი შეინდის კურკის სიმსხო სორბალი ცვიოდა. თუ გინდოდათ, ბედნიერი კაცის ღმილი გენახათ, კალოზე მაშინ უნდა მისულიყავით, როცა პეტრე და მისი ჯალაბობა პირდა ტომრებში გასუფთავებულ, გაწმენდილ სორბალს ყრიდნენ.

— ბარაქა, პურო, ბარაქა, შე ღვთისაგან დალოცვილი! — დუღუნებდა ბედნიერი პეტრე.

... ბერიკაცი დიდხანს მეფერებოდა. მისვამდა და მისვამდა მითრთოღვარე ხელს, ევხ და ევხო, წავიდა, გაფრინდა ის დრო, ეხლა არც კალო სჭირდება ვინმეს, არც შენ სჭირდება, ჩემსავით ბებეროო, — ოხვრას გმინვას ანთაყილებდა, მერე გატრიალდებოდა და წავიდოდა. ხო, წავიდა მაშინაც და აღარ მობრუნებულა. თითქოს სათონეშიც ჩაკვდა სიცოცხლე. რამდენი ხანია, თონე არავის გაუხურებია, შივ პური

არავის ჩაუკრავს. ვარცხლი არავის გაუვსია მთვარის ნათელიანი, თოქმა-თოქმა შოთებით. ან ის ხილბანდინი ღვინაკივი სად აისი, თონეს რომ დაზოუსფუცებდა; ოვლიან შუბლზე ცომიანი ხელი რომ ვერ მოესვა, დაბრბოდა თავს და იდაყვებით იშშრალედა.

ამას წინათ სათონეში პატარა თვალხატულა ბიჭი შემოვიდა, დადგა შორიანლო და მიყურა, მერე საჩხრეკლები გასწია, გამოძერვა და შინიდან დამაბოლოებდა. ბიჭი წავიდა, გაიქცა სადღაც. მალევე მობრუნდა, ხელში მწვანედ უღვებოი, კენჭებით სავსე ვედრო ეჭინა. ვედრო ჩემთან ახლოს დადგა და სადაც კი კაჟის ქვა მეკლდა, კენჭებით შემოესო. ნეტავი რაც იმ ემწავილს მოაფიქრდა, დიდს მოუვიდეს აზრად, ისევ ხვეზე ნაპოენი კაჟის ნამსხვრევებით მომჭედოს, გამწმინდოს და გამასუფთავოს, მტვერი და აბლაბუდა მომაცილოს. თუ კალოზე სასრიალოდ თავთავების საღეწად არ ვვარგავარ, ამ ფარდალადა სათონეში მაინც რუ დამალაობს, ჭიას რუ გამოსხვრევინებს ჩემს თავს, სადმე მიმაფაროს და მიაბატონოს.


დროდადრო თვლენა მომერგვა. ჩამთვლენს და მაშინვე მზითა და პურის ძნით სავსე კალო და ქედზე უღელდადგმული წითელი ხარები დამეხიზმრებდა. მე კალოზე დავსრიალებ. შრიალხებს ნამჯახ და თავთავი. სიმღერაც მესმის, გაბო და პეტრე კალსპირულს მღერიან. ის ნიავე დამთამაშებს, კალოზე რომ ჩამოიქროლებდა უწინარის ფრთებით...
ღმერთო, ამისდინე, ღმერთო!..



გოგონა და გვერდი



მთავარი გიგანტი
გოგონისა და გვერდის



გოგონა - გიგანტი

თავის-სახელისა და გვერდის
(927 წლის წინ)


1080 წელს დაიწყო გიგანტი გვერდისა და გოგონის შრომა. გიგანტი-გვერდის და გოგონის შრომა დაიწყო და გიგანტი და გვერდი დაიწყო. გიგანტი და გვერდი დაიწყო. გიგანტი და გვერდი დაიწყო.



თავის უფროსი! სხვანაირი გიგანტი-გვერდი
გიგანტი უფროსი გიგანტი-გვერდი და გვერდი
გიგანტი უფროსი გიგანტი-გვერდი და გვერდი



გიგანტი და გვერდი უფროსი და გვერდი





გიგანტი უფროსი და გვერდი უფროსი და გვერდი
გიგანტი უფროსი და გვერდი უფროსი და გვერდი



გიგანტი უფროსი და გვერდი უფროსი და გვერდი




გიგანტი უფროსი და გვერდი უფროსი და გვერდი



Են-Են-Են:
Որտե՞ր ճախձնու՞մ
ջլջլ թողի՞ր...



Մե՛կ հա՛ տառերե՛կ Քաջոճբա՛մ է՛մբո՞ր,
Ե՛րեման յ՛նչպո՞ղի՞ր Բահրճան.



ԲՅՅճճՅՅԻՅԻՅԵՆ ՅՅՅՅՅՅՅՅ,
Ե՛նչն՛ք Ն՛ուտ ճ՛նչ-
Շ՛նչո՞ւմ?



Ն՛նչԻ՛հճճճճճճՃՃ Բ՛նԿԻ՛նչՅՅՅ
Յ՛նչՅՅՅՅՅԻ՛ժ...

Ո՞ր Լ՛ուրժԻ՛ն է՛ Յ՛ոճբա՛մ?
Մ՛ջԻ, Ն՛նչ՛հԻ՛տ Յ՛ուրժԻ՛ր է՛ր Ո՞րտե՞ր
Մ՛լուրժԻ՛տ Է՛ր Յ՛ուրժԻ՛տ...



Յ՛ոճ Ե՛րԻ՛նչՅՅՅՅՅՅՅՅ Ե՛ն Յ՛նչՅՅՅՅՅՅ Յ՛նչԵ՛րԻ՛նչ,
Յ՛ոճՅՅՅՅՅՅՅՅ Ե՛ն Կ՛ոճՅՅՅՅՅՅՅՅ Լ՛ուրժԻ՛ն է՛ր, յ՛նչ,
Ե՛նչՅՅՅՅՅՅ Ն՛աՅՅՅՅՅՅՅՅ Գ՛ոճՅՅՅՅՅՅՅՅ 1088 Է՛ր, Ի՛րժԵ՛-
ճՅՅ Ն՛ուր Ե՛նչՅՅՅՅՅՅՅՅ Ո՞ր Ե՛նչՅՅՅՅՅՅ Յ՛նչԵ՛րԻ՛նչՅՅՅՅՅՅՅՅ
Յ՛նչՅՅՅՅՅՅ Ե՛ն Լ՛ուրժԻ՛ն. Յ՛նչՅՅՅՅՅՅ Ե՛րժԻ՛ր Յ՛նչՅՅՅՅՅՅՅՅ
Ե՛րժԻ՛ր Յ՛ոճՅՅՅՅՅՅՅՅ.



ქარდიდედა

ლალი ჯაფარიშვილი

ქარდიდედა ქარიშხალს,
 თურმე, ერთი ქალი ჰყავს,
 იმ ქალს ჰქვია ქარი;
 ქარი დედა არის
 და ჰყავს სამი შვილი:
 ამაყი და ცივი
 ქალიშვილი — ქარ-ბოროთ
 და მოძღვენო კუდრატები —
 ნიაჟი და სიო.

ქარდიდედა ქარიშხალი
 მთებში ცხოვრობს ის საწული,
 ზოგჯერ ისე მწარედ მოთქვამს,
 ალბათ აწევს დიდი ცოდვა...

გაშლილ ველზე
 ცხოვრობს ქარი,
 აშარი და
 აბესარი,
 ფეხშიშველი დაღაშლაშებს,
 სულ არა ჰგავს უმცროს ბავშვებს —
 ზრდილებსა და
 თვალმწუქანარებს,
 ცას და მიწას
 ახანხარებს
 ის რომ ზოგჯერ
 თავს აიშვებს;
 ხან ხანხარებს,
 ხან ვიშვიშებს...
 ზვინის მოსტაცებს
 თივას,
 განა მიაქვს
 შინა,
 მიმოფანტავს
 გზაზე.
 ზვინის სიბერაჟით



ავსებს
 თავზედობა ქარისა,
 ხან ვის შესთხოვს, ხან ვისა,
 შეუკარით ფეხიო,
 ევ ფრთამოსატეხიო,
 შემლილივით კივიო,
 ბღუჯას მაცლის თივიო,
 თითქოს თვითონ შიდეგსო,
 თან დამცინის კიდეცო!
 ... ამ დროს ქარი
 მდინარეზე
 ზვირთებს გრავნის,
 ავორებს,
 მერე ისევ
 სტვენა-სტვენით
 გადაუფრენს
 მთა-გორებს,
 ერთ ნაწრალში
 გაუხეხებულ
 ქარდიდედას
 დაღანდავს,
 ხეში ჩამოქაჩანდება,
 თითქოს იყოს ავად,
 ქარიშხალი დაუეკავებს,
 როგორც დედას
 შეჭყურის,
 ამ დროს ჩქამიც
 არსად იძვრის,
 არ ირსევა
 ეთერიც,
 ცა და მიწა უნეტარეს
 სიმშვიდეში ნანაობს
 და ღუღუნებს ქარიშხალი:
 ნანა, იავნანაო...

ქარდიდედა ქარიშხალს
 თურმე ერთი ქალი ჰყავს...



რას მტრობას დასწვებოდა

რობარტ კოვზირიძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

კახეთის მთის ორ სოფელს მეზობლად ედგათ მეცხვარეობის ფერმები.

ფერმების შორის მთის პატარა მდინარე ჩამოდიოდა. მისი ნაპირები მუხის, ნეკერჩხლის, რცხილისა და წიფლის ტყით იყო დაბურული. ტყეში შშიშარა, ყურცკვიტა კურდღელი ბინადრობდა; ქათმების მტერი, ცბიერი მელაც ტყეს აფარებდა თავს; რუხ მგელსაც აქ დაედო ბუნაგი.

გაზაფხულსა და ზაფხულში საამურად გაალობდა ბულბული. დილა-სადამოს ღაღად უსტვენდა ყვითელნისკარტა შაშვი.

ერთგულად დარაჯობდნენ ცხვარ-ბატკანს ზორბა ტანის ქართული ნაგაზები. მათ სამფლობელოში ქურდი და ავაჯაკი ვერ გაიჭაჭანებდა. ტერიტორიაზე შესვლას ვერც მეზობელი ფერმის ძაღლები ბედავდნენ. საზღვრები მკაცრად იყო დადგენილი. ძაღლებმა კარგად უწყობდნენ, რომ ასეთი თავხედობა არავის შერჩებოდა.

ერთ დღეს, მგლის რისხვას, ამაყსა და ძლიერ ბანგვალას ძუ ძაღლის ტრფიალმა წახსლია და სხვის ტერიტორიაზე მოუჩინებლად შეჭრა გაბედა. ქორისა — ნაგაზების წინამძღოლი, ჯაბა-

ნი როდი იყო, ძუს თავის ტერიტორიაზე სხვას როგორ დაუთმობდა — მომხდურ ბანგვალას ღრენით მივარდა და ტორებქვეშ მოიგდო.

ბანგვალაც კუდამოძუებული უკან არ გამოქცეულა — გამოწვევა მიიღო. მოქიშენი ყალყუე შედგნენ და გამეტებით დაუწყეს ერთიმეორეს კბენა-გლეჯა.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა სასიკვდილო ბრძოლა, ბედზე მწყემსი ნიკა რომ არ გამოჩენილიყო. ნიკას კოკით წყალი მოჭქონდა და განუყრელი კომბალიც წელში გაერჭო. მოჩხუბრებს მივარდა, კომბალიც რამდენიმეკერ უთავაზა, მაგრამ ვერას გასხდა. მშინ ხერხი იხმარა, ნაგაზებს წყალი გადაახსა და რის ვაი-ვაგლახით გააშველა.

მეტოქეთა მტრობა-ქიშპობას დასასრული არ უჩანდა. ღამლამობით ნაგაზები ფხიშლობდნენ, ერთგულად დარაჯობდნენ სამწყსოს.

ინათებდა თუ არა, ყვეფთა და ყუმილით ერთიმეორისაკენ გააძუნძულდებოდნენ, დასახიჩრებდნენ, დაგლიჯავდნენ ერთმანეთს და ქანც-გაწყვეტილები მიეყრებოდნენ მიწაზე. ნიკამ და

გერმანემ როგორ არ სცადეს მათი შერიგება. უყრიდნენ ხორცს, აჭმევდნენ დედას პურს, ცხვრის რძესაც ასმევდნენ. ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ ნაგაზებს აბა, რა ესმოდათ?

მწყემსები ვერას გახდნენ. არაფერმა არ გაქრა, ბოლოს ხელი ჩაიჭინეს და თავიც გაანებეს.

ქორისამ ბანგვალას კეფა ძვლამდე ააგლიჯა, ყურიც ჩამოახია. ბანგვალა მოქიშპეს ბარძაყებში ეცა და დააკოჭლა. ბასრი კბილებით ზურგზე წარუშლილი ნაიარევი დაუტოვა.

დადგა გაზაფხული. მადლიანმა მზემ დედა ცხვარს ზამთრისაგან გაციებულნი წელი გაუთბო. ცხვარი მინდორ-ველზე გაიშალა და ამწვანებულ ბალახს ხარბად დაუწყუო ძოვა.

ღოლიც დაიწყო.

დედა ცხვრისა და ბატკნის ბლავილმა გამოადვიდა მიძინებული არემარე. მზე ჩასვლას აპირებდა, რომ გაზაფხულის უუუუნა წვიმა წამოვიდა. ქორისა მტკოქისაკენ ყეფით გაძუნძულდა. ბანგვალამაც გამოწვევა მიიღო და ბრძოლის ველს უმაღვე მიაშურა.

მდინარის პირას მისული, ბილიკზე მგელს შეეფეთა. მამლ მგელს ცხვარი მოეტაცა, ზურგზე მოეგდო და ბუნაგში მიადუნძულებდა.

ბანგვალა მტაცებელს თვალის დახმხამებაში ეძგერა და ფეხქვეშ მოიგდო. მუხლმაგარი ავაჯაკი უმაღვე გონს მოეგო. ნაგაში დაჯაბნა, ყელ-

ში სწვდა და გაგუღვას უპირებდა.

სწორედ რომ დროზე მოუსწრო ქორისამ. ვეფხვისებური ნახტომით მგელს ზემოდან დააცხრა. მგელი ახლა ამას მიუბრუნდა და სათითაოდ ცდილობდა ორივეს გაგუღვას.

ბანგვალამაც დრო იხელთა. მგელს მუციელში ეძგერა და გააფთრებით დაუწყუო გლეჯა. მტაცებლის უშლილმა იქაურობა შეაზანზარა. ორ გააფთრებულ ნაგაზთან მგელი, აბა, რას გახდებოდა და ბრძოლის ველიდან გაქცევას ცდილობდა. აღარ დასცალდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მალე გათავდა.


ნაომარ ნაგაზებს ჭრილობა-იარებიდან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდათ. ბანგვალა აღერსიანი წკმუტუნით, კუდის ქნევით მიუახლოვდა ქორისას. ენის ლოკვით დაუამეს და მოუშუმეს ჭრილობა-იარები ერთმანეთს.

ქორისამ გამარჯვებულის ნავარდით წრეს შემოუარა. ბანგვალაც აყვეა და ორიოდჯერ მანაც შემოუბრინა იქაურობას თამაშით.

ღამის წყვილადი ჩამოწვა.

მტერსა და დუშმანს განა რა გამოლევდა, ცხვარ-ბატკნის მიტოვება ნაგაზთა წესი არ იყო და მეგობრებმაც თვინათი სამწესოსაკენ სწრაფად მოკურცხლეს.

მეორე დღეს მწყემსებმა მდინარის პირას დაგლეჯილ-დაფლეთილი მგელი იპოვნეს.



როგორ გავდა სინინათელა

ზღაპარი

ილია შილაური

მთის ლამაზ სოფელში ცხოვრობდა ერთი მეტად შეძლებული ოჯახი. იმდენი სიმდიდრე ჰქონდა, რომ ჩიტის რქეც არ აკლდა. ცოლ-ქმარს შვილად ერთადერთი გოგონა ჰყავდათ და მასზე ამოსდიოდნენ მზე და მთვარე. მშობლები თავს დაჰყოფინებდნენ თავის ერთას და მის ყოველ ნება-სურვილს ასრულებდნენ. გოგონაც ლაღად და ბედნიერად გრძნობდა თავს, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ბედნიერება.

გოგონას დედა ძალიან ავად გახდა და მალე გარდაიცვალა. დარჩა გოგონა მამის ანაბარა. მამის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ რა ექნა?! ხანი რომ გამოხდა, სხვა ქალი მოიყვანა დიასახლისად. ქალს თან ორი მოზრდილი შვილი მოჰყვა, ორივე გოგონა. მამამ იფიქრა, თავის შვილებთან ერთად ჩემს ობოლ შვილსაც საკუთარივით მოეპყრობო. მაგრამ დედინაცვალი ბოროტი ადამიანი გამოდგა. ობოლ გოგონას უდიერად ექცეოდა, სრულიად უმიზეზოდ იმეტებდა საცემლად და საჭმელიც კი ენახებოდა მისთვის.

ბევრჯერ მიუდებოდა კუთხეში ობოლი გოგონა, უძახდა დედას და გულამოსკვნილი ტიროდა.

ერთხელ დედინაცვალმა ხაფიში გამოაცხო, ისე დაჭრა, რომ დიდრონი ნაჭრები თავის შვილებს არ გუნა, ნამცეცები კი გოგონას დაუტოვა. ობოლ გოგონას ლუკმადაც არ ეყო ნამცეცები. დედინაცვლის შვილები კი დიდხანს იღმურძლებოდნენ. გოგონას თვალები ცრემლებით ავესო და საცოდავად ნერწყვებს ყლაპავდა.

დედინაცვალი გაანხვლდა და ყვირილი დაუწყო: — რატომ შეჭამე უცბათ და რატომ უყურებს ახლა ჩემს შვილებს თვალებდაჭყეტილი. სქ და ჩემს შვილებს მოსვენება დაგვაკარგვიო... — მერე უთხრა ობოლს, ტანსაცმელი ჩაეცვა და უკან გაჰყოლოდა, შვილებს კი უბრძანა, შინიდან ფეხი არ გაედგათ.



დედინაცვალმა ატარა, ატარა გოგონა და ერთ უღრან ტყეში მიიყვანა, დასვა ერთი ხის ქვეშ და უთხრა, ჩემს მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალაო.

წუთი წუთს მისდევდა, საათი — საათს, მაგრამ დედინაცვალი არა და არ ჩანდა. აი, ჩამობნელდა კიდეც და ტყეში გაიხსმა მგლების გაბმული ყმუილი. გოგონა შიშისაგან აკანკალდა და ტირილი დაიწყო. ტიროდა და მოთქვამდა: — სახლში მინდაა, ამ სიბნელეში როგორ გავიგნო გზა, მამაა...

ტიროდა გოგონა, მაგრამ მისი ტირილი მხოლოდ დედაბუნებს ესმოდა. ბუნებაშიც თითქოს შეისმინა გოგონას მოთქმა და ობოლი გოგონა ციცინათელად გადააქცია. მას შემდეგ დაფრინავს სიბნელეში გოგონა-ციცინათელა და ეძებს შინისაკენ მიმავალ გზას, მაგრამ დღემდე ვერ უპოვია.

აი, ასე გაჩნდა ციცინათელა, რომელიც დამეში ანათებს.

სირცხვილი

ბიორავი წარკეთილი

შრომა არ არის სირცხვილი,
სირცხვილი არის ქურდობა,
მათხოვრობა და წართმევა
არის ძალიან ცუდობა.
სირცხვილი არის სულ ძილი,
მძინარა ვინმემ დაგარქვას,
მძინარა ვერას შეიძენს,
რანა აქვს, მასაც დაგარავს.
სირცხვილი არის ლაზრობა,
ქალის მანდილის დახურვა,
სირცხვილი არის, სამშობლოს
თუ არ უღვებარ მსახურად.
სადაც სიღინჯე გჭირდება,
სირცხვილია, თუ მხატვ ხარ,
სირცხვილია, თუ სივლახეს
სიწუწუცისათვის სჩადინარ;
სირცხვილი არის სიბილწე,
მიცემულ სიტყვის გატყევა.
სირცხვილი არის სიშამუღე
ანდა ნახევრად შემოსვა...
სანამ ხარ შეურცხველად,
შვენილდე გარეშემოსა!..



ნასესხები

ტარიელ ჭანტარია

— მაინტერესებს, ბუბო:
აწრილებიან მარტებს
მაინც რამდენი დღე და
რამდენი ღამე მართებს!
რამდენი მართებს მარტების
ჩვენს ენმელიან აწრილებს,
თანაც, ერთი ან მეორე
გადასდას როდის აწრიებს!

ზის მინაველებულ ბუსართან,
თან წინდასა ქსოვს ბუბი,
თანაც ანანოს ასწავლის,
რა არის ნასესხები!



მხატვარი **ბასო სილაშული**

19.733



თვალთმაქცი

მგლის ლეკვი

ალექსანდრე არაპული

ზოგიერთი ვიომონადირე ხშირად იჭერს მგლის ლეკვს და მის მოწინაურებას ცდილობს, ტყვეობაში ყოლიობენ. ლეკვი ადვილად ქვევა ადამიანს, განსაკუთრებით მომვლელს. პატარობისას თვინიერი და საყვარელია, მაგრამ მოზრდილი მაინც არ არის სანდო. მტაცებელურ, მგლურ ხასიათს სიბერის ჟამს მაინც ამჟღავნებს. ძალივით პატრონის ერთგული და მორიდებული არაა, ჭაბის დროს ახლოს მისვლას ვერ იტანს და ხშირად თავდასხმასაც ბედავს. რა სწყინს და რა სიამოვნებს, ადვილად ვერ უკვებს კაცი. თვალთმაქცობა მისი თანდაყოლილი თვისებაა, ამიტომ ხშირად პატრონის მოტყუებას ცდილობს და ზოგჯერ ახერხებს კიდეც. საინტერესო ისაა, რომ ამას უკვე წამოზრდილი, ადამიანთან მიჩვეული მგელი სჩადის, იცის, პატრონს რაც სიამოვნებს, მის წინაშე ყოველთვის თავდაჭერილად იქცევა და თავს შიამიტად აჩვენებს.

შერაქში ვაშლოვანის ნაერძალის ზოლოვმა — ძია ვახტანგმა ერთი მგლის ლეკვი გამოზარდა. ყველანაირად ცდილობდა, როგორმე მტაცებლური თვისებები მოეშლევინებინა, დღედაღამ თან დაჰყავდა, ემეობრებოდა და გამუდმებით ავკირდებოდა. საკვებს ქათმებთან და ბატკნებთან ერთად აჭმევდა, ერთმანეთთან ათამაშებდა და თვითონაც ერთობოდა სანახაობით. მთელი წელი ასე გავიდა, ლეკვისათვის ერთხელ არ მიუცია შენიშვნა, ავი განზრახვა

არ შეუძინვია. მგელი თვისუფლად დადიოდა ქოშო, ვიდრე მეზობელმა მეტყვევებ არ შესწავლა ძია ვახტანგს: ჩემი ქათმები თქვენთან გადმოდიან და უკან აღარ ბრუნდებიანო. ძია ვახტანგმა პირველად ეს ცნობა შეურაცხყოფად აკი მიიღო, რადგან მგელსე უკვი არ ეპარებოდა, მაგრამ ყურადღება მაინც გაამახვილა. მგელმაც თითქოს იგრძნო პატრონის ეჭვიანი თვალთვალი და ქათმებთან თამაშს მოუხშირა. პატრონს თავს ისე აჩვენებდა: ხელავ, როგორ მიყვარანო. მეზობელს კი ქათმები თანდათან აკლდებოდა. ბუმბულის ნაბტყვენსაც ვერ პოულობდნენ. ქონს აბრალდებდნენ. როცა ქათმების კრიახი ატყდებოდა, ძია ვახტანგს თოვს დაავლებდა ხელს, გარეთ გავარდებოდა და მალე, ცაში იყურებოდა. მეზობლის ქათმები რომ შემოეღია, მგელმა შინაურ „თანშეზრდილ მეგობრებს“ მიჰყო ხელი და მოკლე დროში კიდევ გაანახევრა. პატრონის თვალწინ ქათმებს ძველებურად ელაქუცებოდა, მაგრამ ახლა უკვე თავად ქათმები უფროსობდნენ, აღარ მეგობრობდნენ მასთან. ძია ვახტანგს ეს შეუძინველი არ დარჩენია და ახლა ოთახიდან დაშუწოთვალთვალი. ერთხელ, როცა მგელმა პატრონის შუზრა აიცილია, ერთ დიდ დღედაღამ პირი დაავლო და სიმინდებში გააქანა; მაშინ ძია ვახტანგიც უფრდაფრე მიჰყვა და მისი საკუჭნაო აღმოაჩინა. ძალიან გაოცდა, როცა მთელი მისი ნამოქმედარი თვალწინ გადაეშალა. ახლა კი მიხვდა მგლის თვალთმაქცობას, მაგრამ უკვე გვიან იყო. ძია ვახტანგს არადა არ უნდოდა თოვისკენ დახევედა...



მატყარი თაბაზ სუბივილი

საპარტოვლო
ს.ო.ვეფლი
ბიბლიოთეკა

რეა წლისა იყო ფრედერიკი, რომ უკვე საკუთარი მუსიკაც შეთხზა და ამავე ასაკში დაგა პირველად ვარშაველი მსმენელების წინაშე.

დებუტი 1818 წლის 24 თებერვალს შედგა. ფრედერიკ შოპენის სახელი უკვე იმდენად ცნობილი იყო, რომ შესასვლელი ბილეთები კონცერტის დაწყებამდე დიდი ხნით აღრე გაიყიდა.

დიდი მზადება და მღელვარება იყო პირველი კონცერტის წინ. ყველაზე მეტად დედა დელადა. მან დიდი სიფაქიზითა და გემოვნებით გამოაწყო თავისი პატარა მუსიკოსი. ფრედერიკის ახალ, შავ ხავერდის კოსტუმს დიდი, თეთრი, მაქმანიანი საყელო ჰქონდა.

პირველი კონცერტის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მაგრამ ფრედერიკის დედამ ამ კონცერტზე მისვლა ვერ შეძლო ფრედერიკის უმცროსი დის ავადმყოფობის გამო. როდესაც ბიჭუნა კონცერტიდან შინ დაბრუნდა, დედამ მაშინვე გამოიკითხა დაუწყო. უნდოდა გაეგო, მსმენელებს ყველაზე უფრო რომელი ნაწარმოები მოეწონათ. ბიჭმა მიუგო: — იცი, დედიკო, ყველაზე მეტად ჩემი მაქმანიანი საყელო მოეწონათ, ყველა იმას უყუბებდა.



მატყარი ელზარე ამაოკაძე



მაქმანიანი საყელო

შოთა ამირანაშვილი

შოპენების ოჯახს ვარშავაში პატარა პანსიონატი ჰქონდა გახსნილი. აქ ბინადრობდა ვარშავის გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლე, რომლებსაც პატარა ფრედერიკის მამა ფრანგულენას ასწავლიდა, ხოლო დედა მუსიკაში ამეცადინებდა. მეცადინეობის შემდეგ, საღამოობით, ქალბატონი იუსტინა პიანინოზე უკრავდა ხოლმე, სამი წლის ფრედერიკი კი დედის მუხლს მიყრდნობილი იჯდა და გულისყურით უსმენდა.

ერთხელ ფრედერიკს ძილი დიდხანს არ მიეკარა. მაშინდა ჩაეძინა, როდესაც დედამ ვერცხლისფერფრითან იხვის ჭუჭულზე უძმერა.

შუადამისას იუსტინას შემერთალს გამოედვიდა — დარბახისაკენ მიმავალი ნაბიჯების ხმა შემოესმა. პატარა ფრედერიკი ლოგინიდან წამომდგარიყო და ფეხშიშველი, დამის პერანგის ამარა, გაყინულ ვესტიბიულში მიცუნცულეებდა. მალე დარბახიდან ფორტეპიანოს ნარნარმა ხმამ შემოადწია. დედამ მაშინვე იცნო მელიოღია: ეს ის მახურკა იყო, იმ საღამოს იუსტინამ მოსწავლეებს რომ მოასმენინა.


დედა ჩუმად მიუახლოვდა ფრედერიკს, ხელში აიყვანა, ჩაკოცნა, ისევ ლოგინში ჩააწვინა და სთხოვა, დაიძინო. მაგრამ ბიჭუნას ძილი არ უნდოდა, ჩასჩურჩულებდა: „ფორტეპიანოზე დაკვრა მინდა ვისწავლო! შენ დაკვრა აღარ მოგიწევს, მე დავუკრავ ხოლმე“.



კოვჩა

ამ სუკუნის წელია,
დამისახელო, იქნება,
რომელიც წიღმა-სუკუღმა
უსვლულად წაიკითხება.

კრისტოვან



გიორგი კულარაძე

ჰორიზონტალურად: 1. ცხვრის შვილი; 2. უფაქიზეხი გრძნობა; 3. ქალი, დედაკაცი. 4. ბავშვების საყვარელი სათამაშო; 5. სახელმწიფო აზიაში; 6. გარეული ცხოველი; 7. ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი; 8. ლექსი, კავია...

ვერტიკალურად: 9. მეფის, თანამდებობის პირის თანხლებნი; 2. რაიონული ცენტრი იმერეთში; 10. რობაქიძეთა წინანდელი გვარი; 11. ახლო წინაპარი; 3. ქართული საკრავი; 12. გარეული ცხოველი; 13. ეგვიპტის დედაქალაქი; 14. ქართული საკრავი.

ჭიქო

გამოდის 1904 წლიდან.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა «სამშობლო»

შთავარი რედაქტორი
რეჰვა ივანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: მღუმარ აბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა ბაბუა, სპსილ გომიპერიძე, მერი ღაბისიაშვილი, სოლომონ ღმრთისაშვილი, ლეილა შრამი, გულა ლოსაბერიძე, მამალა მრავლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, იმნავი ჩალაპირი (პ/შგ. მდივანი), გივი ბნულაძე, გივი ბიბინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი რიბინიძე

ტექნიკური რედაქტორი
პეიო შრამიძე

მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის – თბილისი, კოსტავას 14. ტელ: ში. რედაქტორის 92-41-30, 93-98-16; პ/შგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის – 93-98-18; განყოფილებების 93-98-19.


გაღებვა სასაზღვოდ 14.01.91 წ. ხელმოწერილია დასაბუჟდად 25.02.91 წ., ქალაქის ზომი 60x90^{1/8}, ფის. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.00, შეკვეთა № 107.

უფაგ ნახატი
ზაურ ღმრთისაძის

«Дила» («Утро») Отпечатано в типографии газетно-журнального издательства Грузии «САМШОБЛО» Главный редактор Реваз Иванишвили (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Костава, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 141.00. заказ № 107.

685/50

გაიბეჭადა
თბილისში



შატვარი გუსიკ ზუაზუვილი

რამდენი განსხვავებაა ამ ორ ნახატს შორის?